დანართი 1 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს **1995 წლის 26 მაისის გადწყვეტილებისა აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, კონფლიქტის მოწესრიგების შესაძლო პოლიტიკური ნაბიჯების შესახებ**

1. ჩატარადეს სამუშაო შეხვედრა საქართველოსა და რუსეთის საგარეო სამინისტროების წარმომადგენლების, აგრეთვე აფხაზური მხარის მონაწილეობით კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ შეთანხმების განხილვისა და პარაფირებისთვის, რომელიც უნდა შეიცავდეს ვალდებულებას, შეწყდეს სამხედრო დაპირისპირება, იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრულად, მოძებნონ მტკცე პოლიტიკური გადაწყვეტილება.

2. შემდეგი ნაბიჯი უნდა გახდეს ეროვნული შერიგების კონფერენცია, რომელზეც შეიძლებოდა მითითებულ შეთანხმებაზე ხელმოწერაც. ამ ჩარჩო დოკუმენტის დებულებები შეიძლებოდა გაფართოებულიყო შემდეგი მოლაპარაკებების დროს. ეროვნული შერიგების კონფერენციაზე, სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაბამისი წარმომადგენლების, აგრეთვე დსთ, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენელთა დასწრებით, შეიძლებოდა ხელი მოწეროდა განცხადებას საქართველოში მშვიდობიანი მოწესრიგების გარანტიების შესახებ, რომლის შესაბამისადაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და რუსეთის ფედერაცია, როგორც თანამეგობრობის ორგანოების თავმჯდომარე-სახელმწიფო, იკისრებდნენ მიღწეული შეთანხმებების შესრულების გარანტი ყოფილიყვნენ.

3. საკითხის წინასწარ კარგად დამუშავებისას (მომზადების შემთხვევაში) ამ კონფერენციაზე რუსეთის, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის, აგრეთვე აფხაზური მხარის წარმომადგენლებს შეეძლოთ ხელი მოეწერათ შეთანხმებაზე ადლერი-სამტრედია-ბაქო-ერევნის რკინიგზის აღდგენისა და ექსპლუატაციის შესახებ.

ზემოთმოყვანილი სქემა შეიძლება რეალიზებული იქნეს მხოლოდ დევნილთა და გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში დაბრუნების პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტის შემდეგ. (Сборник документовб касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г. г., составитель Г. Уридия, Тб., 1999, გვ. 58/ საკუთარი თარგმანი)